

**გიორგი გოგი დოლიძის პირადი საარქივო ფონდი  
ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა**

1. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედაქტორის გიორგი დოლიძის განცხადება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორ რ.ჩხეიძისადმი. - საუბარია გ.დოლიძის მიერ მოძიებულ ორ უცნობ მხატვრულ ფილმზე: ალ.თაყაიშვილის „პირველი დღე“ (5 ნაწ) და კ.პიპინაშვილის „ფრონტისკენ“ (2 ნაწ), რომლებიც ტექნიკურად მოძველებულია. არის რუსულ ენაზე და აუცილებელია მათი ქართულ ენაზე დუბლირება. ასევე მითითებულია ლადო მესხიშვილის კიდევ ორი ფილმი: „მურისმამიებელი ღმერთი“ და „სირცხვილი ოროველის სახლის“ (9 ნაწ), რომელთაც ასევე ესაჭიროებათ აღდგენა.  
1981 წ. 20 იანვარი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.
2. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედაქტორ გიორგი დოლიძის განცხადება კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორ რ.ჩხეიძისადმი. - „გოსფილმოფონდიდან“ მიღებული ალ.თაყაიშვილის ფილმ „პირველ დღესთან“ დაკავშირებული ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით. ასევე უცნობ ფილმზე „ფრონტისკენ“, რომელიც გ. დოლიძის მეშვეობით მოძიებულ იქნა თბილისში.  
1981წ. 12 ივნისი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.
3. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორს რეზო ჩხეიძეს, ამავე სტუდიის რედაქტორის გიორგი დოლიძის მოხსენებითი ბარათი. - საუბარია კ.მარჯანიშვილის ფილმის „კომუნარის ჩიბუხის“ სხვა უფრო გავრცობილ ვარიანტზე.  
1985წ. 16 მაისი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.
4. საქართველოს შ.რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის დეკანის, საგნობრივი საგამოცდო კომისიის წევრის გ.გ. დოლიძის მოხსენებითი ბარათი ინსტიტუტის რექტორ პროფესორ გ.ვ. ჟორდანიასადმი. - (პროტესტის ნიშნად ტოვებს საგამოცდო კომისიას, რათა თვლის, რომ გამოცდები ხარვეზებითა და სხვადასხვა სახის დარღვევებით მიმდინარეობს).  
1991წ. 11 ივლისი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.
5. საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური და კინოხელოვნების ინსტიტუტის რექტორატის ოქმი N14. - სხდომას ესწრებოდნენ : გ.ჟორდანიას, ვ.კიკნაძე, თ. ქვარიანი, გ.დოლიძე, ა.გამსახურდია, დ.კობახიძე, ზ.ზანგურაშვილი, ს.გობეჯიშვილი, ზ.მანაგაძე, მ.ქადაგიშვილი. სხდომის თავმჯდომარე - პროფესორი გ.ჟორდანიას. მდივანი - მ.ქადაგიშვილი.  
1992წ. 16 დეკემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 4გვ.
6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება - დ.ს. ჯანელიძის დაკრძალვის მოწყობის შესახებ. (დადგენილებაში საუბარია დაკრძალვის მოსაწყობად შექმნილ კომისიასთან დაკავშირებით. მითითებულნი არიან ამ კომისიის წევრები: გრიგოლ ლორთქიფანიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვახტანგ ბერიძე, გიორგი გეგეჭკორი, ეთერ გუგუშვილი, ნოდარ გურაბანიძე, გიორგი დოლიძე, ვასილ კიკნაძე, მაია კობახიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გაიოზ ჟორდანიას, გურამ ფანჯიკიძე, თამაზ ქვარიანი, ანზორ ქუთათელაძე და ნადია შალუტაშვილი. ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე: ა.მარგიანი.)  
1994წ. 13 იანვარი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.

7. საქართველოს შ.რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორ - გ.დოლიძის მოხსენებითი ბარათი ინსტიტუტის რექტორ - გ.ჟორდანიასადმი. - ითხოვს კინოფაკულტეტისთვის შეიძინონ აპარატურა. (მითითებულია ნივთთა ჩამონათვალი: ვიდეოკამერა, ვიდეომაგნიტოფონი, ფლეიერი და ტელევიზორი ) 1996წ. 2 ოქტომბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.

8. საქართველოს შ.რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორის პროფესორ გ.დოლიძის მოხსენებითი ბარათი, ინსტიტუტის რექტორ გ.ჟორდანიასადმი, მიუნხენის ტრადიციული საერთაშორისო კინოფესტივალზე გამგზავრებასთან დაკავშირებით. (სთხოვს ინსტიტუტის დირექციას ფინანსურ დახმარებას, რათა შეძლოს გამგზავრება და დასწრება მიუნხენის კინოფესტივალზე.) 1996წ. 31 ოქტომბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.

9. საქართველოს შ.რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორის პროფესორ გ.დოლიძის მოხსენებითი ბარათი, ინსტიტუტის რექტორ პროფესორ გ.ჟორდანიასადმი. - ითხოვს კინოფაკულტეტის ოთახის რემონტს, რამეთუ უშუქობისა და სიცივის გამო ძნელდება ლექციების ჩატარება. 1997წ. 10 იანვარი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.

10. საქართველოს შ.რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორ გ.დოლიძის მოხსენებითი ბარათი ინსტიტუტის რექტორ გ. ჟორდანიასადმი. - ითხოვს თეატრალურ ინსტიტუტში, კინოფაკულტეტის ოთახის სასწრაფო რემონტს, რათა შეძლოს შვეიცარიელი სტუდენტების მიღება. 1997წ. 6 მარტი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.

11. საქართველოს შ.რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორ გ.დოლიძის მოხსენებითი ბარათი, ინსტიტუტის რექტორ გ.ჟორდანიასადმი. – (ითხოვს მივლინებას ქუთაისში ვ.ამაშუკელის ხსოვნის სადამოფეო დასწრებასთან დაკავშირებით.) 1997წ. 1 მაისი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.

12. ჩოხოსანთა საზოგადოების წერილი ბატონ მერაბ კირკიტაძეს და ბატონ გიორგი ჯანაშიასადმი. საუბარია თანხაზე, რომელიც გ.დოლიძემ გადასცა სოფელ სპასოვსკის წარმომადგენელს ბატონ ალ. მიქელაძეს შაქრის შესაძენად. -წერილს თან ერთვის ალ.მიქელაძის ხელწერილი თანხის აღებასთან დაკავშირებით. (წერილი დაწერილია საქართველოს შ.რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბლანკიან ფურცელზე). 2003წ. 17 ნოემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 2გვ.

13. გოგი დოლიძის მიერ შევსებული ცნობარი. 2003წ. 19 ნოემბერი. 2009წ. 7 იანვარი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 2გვ.

14. გიორგი დოლიძის დახასიათება გაცემული ქ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის აკ.ჩხარტიშვილის მიერ. უთარილო. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1გვ.

**შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა**

15. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის, ხელოვნების ინსტიტუტის მიერ გაცემული ოქმი გიორგი დოლიძის სახელზე, კინომცოდნეობის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრებასთან დაკავშირებით. - ხელს აწერს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე : რ.ვ. ზორიანი. ასევე ხელს აწერენ კომისიის წევრები: ლ.ო.ახვლედიანი, ს.ა. რიზაევი, ს.თ. ასმიკიანი. 1968წ. 27 თებერვალი. დასტამბული (ხელით შვესებული), რუსულ ენაზე. 1ფ. 2 ეგზემპლარი.

16. გ.გრინკრუგის გამოხმაურება გ.დოლიძის სადისერტაციო ნაშრომზე - „Маяковский и кино“. 1969წ. 28 იანვარი. ხელნაწერი. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3ფ.

17. პროფესორის ჰუმანიტარულისა და ისტორიულ დარგში, ხელოვნებათმცოდნის ვლადიმერ ევსევიცკის გამოხმაურება გიორგი დოლიძის სადისერტაციო ნაშრომზე - „Маяковский и кино“. 1969წ. 26 იანვარი. ხელნაწერი. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 6ფ.

18. გიორგი მდივანის გამოხმაურება გ.დოლიძის დისერტაციაზე „Маяковский и кино“, რომელიც გაიგზავნა უკრაინაში, ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტში. - გიორგი მდივანის ხელმოწერით. 1969წ. 27 იანვარი. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3ფ.

19. სახალხო არტისტის მიხეილ ჭიაურელის გამოხმაურება გ.დოლიძის სადისერტაციო ნაშრომზე - „Маяковский и кино“. - (ხელს აწერს მ.ჭიაურელი. წერილს მიწერილი აქვს მ.ჭიაურელის ხელით - „უნდა ითარგმნოს“) მასალას ერთვის რუსული თარგმანი. 1969წ. 7 თებერვალი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2ფ.

20. გამოხმაურება გიორგი დოლიძის საკანდიდატო დისერტაციის - „Маяковский и кино“-სთან დაკავშირებით. 1969წ. 7 თებერვალი. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 ფ.

21. სტენოგრამა - უკარინის, ქ.კიევის, მ.ფ. რილსკოვის სახელობის ხელოვნებათმცოდნეობის, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, სადაც წარადგინეს გიორგი დოლიძის სადისერტაციო ნაშრომი „მაიაკოვსკი და კინო“. ხელს აწერენ: წევრ კორესპოდენტები - ნ.ე.სივჩენკო. ნასწავლი მდივანი საისტორიო დარგში - ვ.თ. ზინიჩი. 1969წ. 14 თებერვალი. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 33ფ.

22. ს.ს. გინზბურგის წერილი გ.დოლიძისადმი. - (წერს გ.დოლიძის სადისერტაციო ნაშრომზე, რომელსაც აძლევს მაღალ შეფასებას). ხელს აწერს ს.ს. გინზბურგი. 1969წ. 15 თებერვალი. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1გვ.

23. უკარინის, ქ.კიევის, მ.ფ. რილსკოვის სახელობის ხელოვნებათმცოდნეობის, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის - ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატების გამოხმაურება გიორგი დოლიძის სადისერტაციო ნაშრომზე „მაიაკოვსკი და კინო“. - მასალას ხელს აწერენ - ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატები: ნ.ე. სივჩენკო, ვ.თ. ზინიჩი. 1969წ. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 22ფ.

24. ჟურნალ ..... მთავარი რედაქტორის ოტარ ეგაძის გამოხმაურება გ.დოლიძის სადისერტაციო ნაშრომზე „Маяковский и кино“. 1969წ. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2ფ.

25. გამოხმაურება გიორგი დოლიძის საკანდიდატო დისერტაციის - „Маяковский и кино“- სთან დაკავშირებით. ხელს აწერს: ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ს.გ.ზინიჩი. უთარილო. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 7ფ.
26. „ყველაფერი ბაღში“ - ედუარდ ელბი. პიესა ორ მოქმედებად. (ინგლისურიდან თარგმნა გ.დოლიძემ) 1970წ. ხელაწერი. 60ფ. მანქანაზე ნაბეჭდი. 140ფ. ქართულ ენაზე. სულ 200ფ.
27. გოგი დოლიძის მიერ გამოცემული ბუკლეტი - „ვასილ ამაშუკელი“. (ავტორისეული მიძღვნილი წარწერით - „თეატრისა და კინოს მუზეუმს. 2011წ. 6 მაისი“). 1972წ. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენაზე. 4ც. (ქსეროასლი 3ც.)
28. გიორგი დოლიძის ჩატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები: 1)სტატიები, 2) ტელეგადაცემები, 3) ლექციები და 4)სხვადასხვა. 1977წ. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 2ფ.
29. ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის, უფროსი მეცნიერთანამშრომლის გიორგი დოლიძის ნაშრომი - „ორი წიგნი - ორი აზრი“. ხელს აწერს გ.დოლიძე. - მასალას თან ერთვის როსტომ სანიშვილის დადებითი რეცენზია ნაშრომთან დაკავშირებით. 1977წ. 28 ნოემბერი, 30 ნოემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი, ქართულ ენაზე. 29ფ.
30. უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის - გიორგი დოლიძის ნაშრომი „ივანე კავალერიძე“. - ხელს აწერს გ.დოლიძე. მასალას თან ერთვის როსტომ სანიშვილის რეცენზია ნაშრომთან დაკავშირებით. 1977წ. 4 დეკემბერი. 5 დეკემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 27ფ.
31. საქართველოს სახალხო არტისტის, კინოსტუდია „ქართული ფილმის დირექტორის“ - რ.ჩხეიძისა და შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის გ.დოლიძის სტატია - „ივანე კავალერიძის ხსოვნისადმი“ მიძღვნილი. 1978წ. 11 დეკემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 3გვ.
32. გიორგი დოლიძის მიერ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები ქართული პრესის ფურცლებზე. - 1) გაზ: „რეზონანსი“ - „ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, მის აღმატებულებას ბატონ მიხეილ სააკაშვილს“. 2011წ. 29 ოქტომბერი. გვ.4. 2) გაზ: „რეზონანსი“ - „სახალხო გმირის გახსენება“. 2011წ. 22 სექტემბერი. გვ.6. 3) გაზ: „ასავალ-დასავალი“ - „ევრიკა! ღია წერილი საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს, ბატონ გოგი ქავთარაძეს.“ 2011წ. 14 -20 ნოემბერი. N 46. გვ 35. 4) გაზ: „მწერლის გაზეთი“ - „ღია წერილი ბატონ ვასილ კიკნაძეს, ანუ 789 შეცდოა 789 გვერდიანი წიგნისა“. 2011წ. 24 ნოემბერი. გვ.8.
33. საქართველოს შ.რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოსა და თეატრის კვლევითი სამეცნიერო სექტორის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლისა და ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის გიორგი დოლიძის სტატია ფილმ - „პირველი დღის“ შესახებ.- (ერთი დაკარგული ფილმის კვალდაკვალ) ქ.თბილისი. 1980წ. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 14 გვ.
34. ფილმ „პირველი დღის“ სცენარი. რეჟისორი - ა.თაყაიშვილი. მხატვარი - რ.მირზაშვილი. კომპოზიტორი - ვ.შავერზაშვილი. მთავარ როლებში: ა.თოიძე, მ.ჩერნოვა, ა.ჯალიაშვილი, ა.ყიასაშვილი, ო.მიქაშვიძე.

1936წ. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 27ფ.

35. გოგი დოლიძის პუბლიკაცია ფილმზე „პირველი დღე“. (ერთი დაკარგული ფილმის კვალდაკვალ).

1981წ. 12 მარტი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 2ფ.

36. კ/ფ. „თავადის ასული მერი“-ს შიდა წარწერები და ტექსტი. - კინოფილმი აღდგენილია 1983 წელს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ. აღდგენილი ტექსტის ავტორი - გ.დოლიძე. რეჟისორები: გ.დოლიძე, გ.სხირტლაძე. კომპოზიტორი: გ.ზვანელი. ტექსტი ჩასწორებულია გიორგი (გოგი) დოლიძის მიერ.

1983წ. 19 ივლისი. მანქანაზე ნაბეჭდი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 14ფ.

37. გოგი დოლიძის მიერ ჩაწერილი ფილმ „კრახანას“ ტექსტი. - ავტორის მიერვე არის მითითებული ფილმზე მუშაობის დაწყებისა და დამთავრების თარიღები: „3. VI. 84 - გავფრინდი ლენინგრადში. 17. VI. 84 - ჩამოვედი. დავიწყე - 28 V. 84. ჩავაბარე - 30. VII.84“

1984წ. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 24ფ.

38. გოგი დოლიძის სტატია - „რამოდენიმე სიტყვა ქართული კინოს ისტორიიდან და ქართული კინოსკოლის ბიოგრაფიის შესახებ.“

1998წ. 20 ოქტომბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. ინგლისურ ენაზე. 4ფ.

39. გოგი დოლიძის სტატია - კინოხელოვნების შესახებ. (ავტორისეული ჩასწორებებით). 26 აგვისტო. 1999წ. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 2ფ.

40. სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი“-ს წერილი ქუთაისის ტელეკომპანია „ივერიონს“. ასევე ქალბატონ ნატო სულაბერიძეს. - (ვ.ამაშუკელის ფილმის „აკაკის მოგზაურობის“ 90 წლისთავთან დაკავშირებით სთხოვს ხელშეწყობას, რათა ხელახლა მოხდეს იმ მარშრუტის გადაღება, რა გზითაც მოხდა აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში). ხელს აწერენ ორკომიტეტის სახელით: რეზო ჩხეიძე და გოგი დოლიძე.

2000წ. 31 ივლისი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 2ფ.

41. საქართველოს შ.რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სამეცნიერო - სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმი N 2 (2000წ. 17 ნოემბერი). სხდომას დაესწრნენ: რექტორი, პროფესორი - გ.ლორთქიფანიძე; პრორექტორი, პროფესორი - ვ.კიკნაძე; პრორექტორი პროფესორი - ნ.გურაბანიძე.

2000წ. 17 ნოემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. 3გვ.

42. გოგი დოლიძის სტატია - „ქართული კინო“. (ავტორისეული ჩასწორებებით).

მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2001წ. 19 მარტი. 9ფ.

43. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სამეცნიერო - სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმი N 3. (2001 წლის 27 მარტი).

2001 წლის 27 მარტი. მანქანაზე ნაბეჭდი. 12გვ.

44. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სამეცნიერო - სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმი N 4. (2001 წლის 13 აპრილი).

ხელს აწერენ: პროფ. გ.ლორთქიფანიძე. სწავლული მდივანი, დოც. გ.ყაჯრიშვილი.

2001წ. 13 აპრილი. მანქანაზე ნაბეჭდი. 3გვ

45. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სამეცნიერო - სამხატვრო საბჭოს 2001 წლის 24 სექტემბრის სხდომის ოქმი N 1. - ხელს აწერენ: რექტორი - პროფ. გ.ლორთქიფანიძე. სასწავლო მდივანი - დოც. გ.ყაჯრიშვილი. 2001 წ.24 სექტემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. 8გვ.
46. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში „სრულიად საქართველოს პირველკურსელთა არასამთავრობო ასოციაციის“ მიერ ჩატარებული „სტუდენტთა სამეცნიერო სესია“, რომელიც მიემდგვნა ვასილ ამაშუკელის (1886-1977) ფილმის „აკაკის მოგზაურობის“ 90 წლისთავს. - სამეცნიერო სესიის ხელმძღვანელი - პროფ. გ.დოლიძე. 2002 წ. 14 მარტი. მანქანაზე ნაბეჭდი. 59გვ.
47. კინოსტუდია „მემატიანეს“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური ფილმი „აკაკის ნაკვალევზე...“- (ემდგვნება რაჭა-ლეჩხუმში აკაკი წერეთლის ისტორიული მოგზაურობისა და ამავე თემაზე ვასილ ამაშუკელის ფილმის 90 წლისთავს.) სტატია აქვს გოგი დოლიძის ხელით მიწერილი - „ვერ შევძელი ამის გაკეთება“. 30 ოქტომბერი, 14 ნოემბერი. 2002წ. ქართულ ენაზე. მანქანაზე ნაბეჭდი.3გვ.
48. „კინემატოგრაფიული შეხვედრები“- (მასალა ასახავს 2003 წლის 15 ოქტომბერს, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. გ.ლორთქიფანიძის კაბინეტში, ქ. იზმირის (თურქეთი), დოკუზ ეილუდის უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების ჩანაწერებსა და ფოტოებს.) 2003წ. 15 ოქტომბერი. ქართულ და თურქულ ენებზე. აკინძული. მანქანაზე ნაბეჭდი. 147გვ.
49. კინო-ოპერატორთა სარჩევი- კატალოგი. – (დოკუმენტური კინო XX საუკუნე). გამოცემა „მატერიკის“ მიერ. 2005წ. მანქანაზე ნაბეჭდი. აკინძული წიგნის სახით. რუსულ ენაზე. 31ფ.
50. გოგი დოლიძის მიერ გამოქვეყნებული სტატია გაზეთ: - „მწერლის გაზეთში“. N 6. – „ღია წერილი ბატონ ვასილ კვიციანი, ანუ 789 შეცდომა 789 გვერდიანი წიგნისა“. 2011წ. 20 სექტემბერი-20 ოქტომბერი. პრესიდან ამონაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.
51. კ/ფ. „თავადის ასული მერი“. სცენარი. – მ.ლერმონტოვის რომან „ჩვენი დროის გმირების მიხედვით. 1927წ. სცენარის ავტორი და რეჟისორი: ვ.ბარსკი. მხატვ: ვ.სიდამონ-ერისთავი, ფ.პუში. მონაწილეობენ: ნ.პროზოროვსკი, გ.დავითაშვილი, თ.ბოლქვაძე, ე.ჩარსკაია, ა.თაყაიშვილი, ბ.ბელეცკაია, ი.კრუჩინინი, ვ.ობოლენსკი, ტ.ვიშნევსკაია. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 30ფ.
52. კ/ფ. „ბელას“ სცენარი. (შიდა წარწერები). - მ.ლერმონტოვის რომან „ჩვენი დროის გმირის“ მიხედვით. ეკრანებზე გამოვიდა 1927წ. სცენარის ავტორი და რეჟისორი ვ.ბარსკი. მხატვრები: ვლ. სიდამონ-ერისთავი, ფ.პუში. მონაწილეობენ: ნ.პროზოროვსკი, თინა მაჭავარიანი, ი.მერაბიშვილი, ა.თაყაიშვილი, ვ.ობოლენსკი, მ.ქორელი, ბ.ბელეცკაია, ვ.არაბიძე, გ.სარჩიელიძე, ტ.ვიშნევსკაია, ე.ჩერსკაია. (ტექსტი ჩასწორებულია გოგი დოლიძის მიერ). ხელნაწერი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 52ფ.
53. კ/ფ. – „ქალი ბაზრობიდან“. ტექსტი და შიდა ჩანაწერები. ი.ო'ნილის პიესის „სიყვარული თელეზ ქვეშ“ მიხედვით. ეკრანებზე გამოვიდა 1928 წლის 16 აპრილს. სცენარის ავტორი: პ.მორსკოი, გ.მაკაროვი, ენგელსი; რეჟისორი: გ.მაკაროვი; მხატვარი:რ.ფედორი. მონაწილეობენ: ა.მუსურიძე, ბ.ბელეცკაია, შ.დამბაშიძე, ა.ვასაძე, მ.შირაი, გ.ინაშვილი. ტექსტი ჩასწორებულია გიორგი დოლიძის მიერ.

მანქანაზე ნაბეჭდი, ქართულ და რუსულ ენებზე. 17ფ.

54. „მამის მკვლელი“ - ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოების მიხედვით. - სც.ავტ. და რეჟ - ა.ბე-ნაზაროვი. მხატვარი - ვ.სიღამონ-ერისთავი, კ.ტირი. სადიქტორო ტექსტი გოგი დოლიძის ჩასწორებებით.

მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 10ფ.

55. გოგი დოლიძის ნაშრომი - „Киноискусство советской Грузии“. - (ავტორისეული ჩასწორებებით.)

უთარილო. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 24ფ.

56. გოგი დოლიძის სტატია - „Грузинское кино“. - (ავტორისეული ჩასწორებებით).

უთარილო. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 16 ფ.

57. გოგი დოლიძის ნაშრომი ქართული კინო-ისტორიის შესახებ. - (ავტორისეული ჩასწორებებით).

უთარილო. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 17ფ.

58. გოგი დოლიძის სტატია კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ აღდგენილი ადრეული ქართული ფილმების შესახებ. - (ავტორისეული ჩასწორებებით წითელი პასტით).

უთარილო. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 3გვ.

59. გ.დოლიძის სტატია - „როცა ასეთი სიყვარულია“. - შტრიხები მსახიობ ბელა ბელეცკაიას (1903 - 1937) შემოქმედებითი და ცხოვრებისეული პორტრეტებისთვის.

უთარილო. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 4ფ.

60. გ.დოლიძის სტატია - ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტეს“ შესახებ, რომელიც დაიდგა პოლონეთის ოპერეტის თეატრში.

მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ და ქართულ ენებზე. 10ფ.

61. გოგი დოლიძის მიერ დამუშავებული ფილმი „ნამდვილი კავკასიელი“. - მითითებულია ფილმზე მუშაობის დაწყებისა და დამთავრების თარიღები: „3.11.86 -დავიწყე. - 15.04.86 - ჩავაბარე“.

ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 2 რვეული. 37ფ.

62. სცენარი ფილმისა - „ფრონტზე“. (На Фронте). - გოგი დოლიძის ჩასწორებებით.

ქ.მოსკოვი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენაზე. 19ფ.

63. კ/ფ. „ორი მონადირის“ შესახებ დაწერილი სტატია. - (ჩასწორებული გოგი დოლიძის მიერ).

მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 16ფ.

### **„კომუნარის ჩიბუხი“**

64. კ/ფ. „კომუნარის ჩიბუხის“ აღდგენილი ვარიანტის ექსპოზიციური ნაწილის ილუსტრირებასთან დაკავშირებული ჩანაწერი. - ჩასწორებული გ.დოლიძის მიერ.

უთარილო. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 2გვ.

65. კ/ფ. „კომუნარის ჩიბუხის“ ტექსტი, სადიქტორო ჩანაწერები. - ჩაწერილი გოგი დოლიძის მიერ.

უთარილო. ხელნაწერი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 9ფ.

66. კ/ფ. „კომუნარის ჩიბუხის“ სცენარი, ფილმში მონაწილეთა გვარების ჩამონათვალი, სადიქტორო ტექსტი. – (ი.ერენბურგის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. 1929წ. 30 ივლისი. სცენარის ავტორი და რეჟისორი - კ.მარჯანიშვილი. მხატვარი - ვ.სიდამონ-ერისთავი. მონაწილეობენ - უ.ჩხეიძე, ს.ზაბოზლაევი, ვ.ანჯაფარიძე, ტ.მენზონი, ა.ჟორჟოლიანი, თ.ჭავჭავაძე, შ.დამბაშიძე). მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 28ფ.

67. კ/ფ. „კომუნარის ჩიბუხის“ სცენარი და სადიქტორო ტექსტი. 1929წ. 30 ივლისი. – (გ.დოლიძის ჩასწორებებით). ილია ენერბურგის ამავე სახელწოდების ნოველის მიხედვით. სცენარის ავტორი და რეჟისორი - კ.მარჯანიშვილი. ოპერატორი - ა.ზაბოზლაევი. მხატვარი - ვ.სიდამონ-ერისთავი. მთავარ როლებში - უ.ჩხეიძე, ვ.ანჯაფარიძე, ს.ჟორჟოლიანი, თ.ჭავჭავაძე, შ.დამბაშიძე, ს.ზაბოზლაევი და სერგო ზაქარიძე. (ეს მისი კინოდებიუტია). მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 22ფ.

68. კ/ფ. „კომუნარის ჩიბუხის“ სადიქტორო ჩანაწერი. – (წარწერები). ჩასწორებული გოგი დოლიძის მიერ. (1 ნაწილი). ილია ენერბურგის ამავე სახელწოდების ნოველის მიხედვით. სცენარის ავტორი და რეჟისორი - კ.მარჯანიშვილი. ოპერატორი - ა.ზაბოზლაევი. მხატვარი - ვ.სიდამონ-ერისთავი. მთავარ როლებში - უ.ჩხეიძე, ვ.ანჯაფარიძე, ს.ჟორჟოლიანი, თ.ჭავჭავაძე, შ.დამბაშიძე, ს.ზაბოზლაევი და სერგო ზაქარიძე. (ეს მისი კინოდებიუტია). ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 12ფ.

69. კ/ფ. „ხანუმას“ სადიქტორო ჩანაწერები. – (ა.ცაგარელის პიესის მიხედვით - 1927წ. 30 მაისი. სცენარის ავტორი და რეჟისორი - ა.წულუნავა. მხატვარი - ვ.სიდამონ-ერისთავი, მ.შავიშვილი. ჩაწერილი გოგი დოლიძის მიერ) ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 11ფ.

70. გიორგი დოლიძის მიერ გაკეთებული სხვადასხვა სახის ჩანაწერები. - კინოსთან დაკავშირებით ამოწერილი სტატიები, რომლებიც იბეჭდებოდა ძველ პრესაში: „ხელოვნების ამბები“, „მუშა“, „ხელოვნება“, „კინო“, „კომუნისტი“ და სხვა. 1927 – 1928 წლებში. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 40ფ.

### ადრესატის წერილები

71. გიორგი (გოგი) დოლიძის წერილი „გოსფილმოფონდის“ დირექტორ გენადი სუხინისადმი. - სთხოვს ინფორმაციის მიწოდებას ალ.თაყაიშვილის ფილმ „პირველ დღესთან“ დაკავშირებით. 1980წ. 6 სექტემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1გვ.

72. გოგი დოლიძის წერილი ზაზასადმი .... - მაღლობას უხდის ყურადღებისათვის და პროფესორის წოდების მილოცვისთვის. ასევე წერს ფილმ „აკაკის მოგზაურობის“ 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით. 1992წ. 4 ივნისი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.

73. გოგი დოლიძის ლექსი მიძღვნილი ვანო ცინცაძისადმი. – (ავტორისეული ჩასწორებებით) 1995წ. 30 იანვარი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 2ფ.



74. გოგი დოლიძის წერილი ინსტიტუტის პირველ პრორექტორ ბატონ ვ.კიკნაძისადმი. - წერს თეატრალურ ინსტიტუტში მომხდარ პრობლემებთან დაკავშირებით და სთხოვს საჭირო ზომები მიიღოს ამა თუ იმ მასალის დასაზუსტებლად.

2001წ. 17 ოქტომბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 2გვ.

75. გოგი დოლიძის წერილი ვახტანგ გურიელისადმი. - წერს გამოცემული წიგნის „საქართველოს ისტორიაში“ (IX კლასის სახელმძღვანელო) არსებული შეცდომების ჩასწორებასთან დაკავშირებით.

2002წ. 31 ოქტომბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. ქ. თბილისი. 4გვ.

76. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორ გიორგი დოლიძის თბილი წერილი მოლდავეთის დამსახურებული მსახიობის სვეტლანა ტომასადმი. - სთავაზობს ჩაატაროს ფესტივალი ფილმებისა, რომლებშიც მონაწილეობს სვეტლანა ტომა, ასევე მადლობას სწირავს ქართველი მსახიობის ნოდარ მარგველაშვილის გახსენებასთან დაკავშირებით. ხელს აწერს: საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი გიორგი დოლიძე.

2003წ. 6 ივნისი. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1გვ.

77. გიორგი დოლიძის მიმართვა ჩოხოსანთა სახელით საქართველოს პრეზიდენტ ბატონ მიხეილ სააკაშვილისადმი. - იმედი აქვს პრეზიდენტის თანადგომის და ამ მიზნით სთხოვს შეხვედრას, რათა მიიღონ ჩოხოსანთა რიგებში ტრადიციული რიტუალის დაცვით. (წერილი დაწერილია შ.რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბლანკიან ფურცელზე) ხელს აწერს: უნივერსიტეტის პრორექტორი გ.დოლიძე.

2003წ. 8 დეკემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.

78. გიორგი (გოგი) დოლიძის მიმართვა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტისადმი. - წერს სამტრედიაში ჩატარებული ეროსი მანჯგალაძის დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს შესახებ. ასევე კონკურსზე, რომელიც ე.მანჯგალაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნა. გამარჯვებულ 18 კონკურსანტზე, რომელთაც გადაეცათ ქ.ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის სამახსოვრო სიგელები. (წერილი დაწერილია ქ.ჩოლოყაშვილის სახ. სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის ბლანკიან ფურცელზე).

2011წ. 22 სექტემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. 1გვ.

79. გოგი დოლიძის სახუმარო ლექსი-ექსპრომტი მიძღვნილი შმაგი საყვარელიძისადმი დაბადების 69-ე წლისთავის აღსანიშნავად.

უთარილო. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.

### წერილები ადრესატისადმი

80. რუბენ ზარიანის წერილი ერევნიდან გ.დოლიძისადმი. - (მადლობას უხდის შექსპირის პიესების გამოგზავნისთვის).

ერევანი. 1969წ. 16 იანვარი. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1გვ.

81. „გოსფილმფონდის“ დირექტორ გენადი სუხინის წერილი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედაქტორ გიორგი დოლიძისადმი. - წერს მხატვრულ ფილმ „პირველ დღესთან“ დაკავშირებით, რომელიც ინახება „გოსფილმფონდის“ საცავში. ასევე ფილმის მოკლე შინაარსისა და მონაწილეთა დაკავშირებით. (სცენ.ავტ. - ა.სამსონია, ა.თაყაიშვილი. რეჟისორი -

ა.თაყაიშვილი, მხატვარი - რ.მირზაშვილი, კომპოზიტორი - ვ.შავერზაშვილი. როლებში: ა.თოიძე, მ.ჩერნოვა, ა.ჯალიაშვილი, ა.ყიასაშვილი, ო.ცანავა, ნ.მიქაშავიძე და სხვა). ხელს აწერენ: „გოსფილმფონდის“ დირექტორი გენადი სუხინი. კინოსტუდია „ართული ფილმის“ რედაქტორი გიორგი დოლიძე. 1980წ. 22,27 სექტემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე. 2გვ.

82. მისასალმებელი გზავნილი გოგი დოლიძისადმი. („Триветственное послание“). - ლექსად დაწერილი ქართული სადღეგრძელოს სტილში. ქ.მოსკოვი. 1981წ. 15 მარტი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.

83. ლევან გრიგოლის ძე გველესიანის წერილი გოგი დოლიძისადმი. - წერს კოტე მარჯანიშვილის პირველ ფილმზე „ქარიშხლის წინ“, რომელიც ამჟამად დაკარგულად ითვლება. ასევე 1922 წელს, როდესაც დაარსდა „საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება“ და იმ ქართველ კომპოზიტორებს, დირიჟორებს, მუსიკოსებსა და მომღერლებს, რომლებიც სწორედ ამ საზოგადოების „წიალიდან გამოვიდნენ“: (გრ.კილაძე, იონა ტუსკია, ევგ.მიქელაძე, შალვა თაქთაქიშვილი, გიორგი თაქთაქიშვილი, შ.მშველიძე, შ.აზმაიფარაშვილი, გრიგოლ ჩხიკვაძე, ლეო შიუკაშვილი, ვახტანგ ნეიმან-ბარნაველი, შ.ასლანიშვილი, ლუარსაბ იაშვილი, გაბო რატიშვილი, ნიკო ჩიგოვიძე, მიხეილ ძიძიშვილი, დიმიტრი მჭედლიძე, ვასო გეჯაძე, შ.ციცილაძე, დ.ბადრიძე, ნიკო ქუმსიაშვილი, დ.ანდლულაძე, დიმიტრი სულხანიშვილი, ფილომონ ელეფთერი, ქეთევან ჯაფარიძე და სხვები). ასევე წერს 1925 წლის ზაფხულში დაარსებულ კინო „აისის“ შესახებ, რომელიც კონსერვატორიის ძირითადი შენობის დარბაზში ფუნქციონირებდა. (სწორედ „აისის“ გახსნის დღეს, პრემიერის სახით ნაჩვენები იქნა კ.მარჯანიშვილის „ქარიშხლის წინ“, რომელიც უდიდესი წარმატებით გადიოდა რამდენიმე თვე.) იგონებს იმ მსახიობებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ ფილმში: შ.ქარფელიშვილი, ალ.იმედაშვილი, ლ.კავსაძე, კ.ანდრონიკაშვილი და მ.არნაზი. ქ.თბილისი. 1982წ. 10 ოქტომბერი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 2გვ.

84. დავითის (?) წერილი გიორგი (გოგი) დოლიძისადმი. - ულოცავს ახალი 1982 წლის დადგომას, ასევე წერს წიგნის შესახებ, რომელიც გამოიცა და სამომავლო გამოცემასთან დაკავშირებით. ქ.ქუთაისი. 1982წ. 19 იანვარი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 2გვ. (დაზიანებული)

85. ლალი როსებას წერილი გოგი დოლიძისადმი. - წერს მისამართის შესახებ, რომელსაც უგზავნის. 1986წ. 4 დეკემბერი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 1გვ.

86. ალექო ჭიჭინაძის წერილი გოგი დოლიძისადმი. - წერს მის მიერ დადგმული ოპერის „იოლანდას“ შესახებ. ასევე, ახალი მუსიკალური დრამის „მედეას“ ირგვლივ, რომელსაც ამუშავებს ბიძინა კვერნაძესთან ერთად. 1990წ. 1 სექტემბერი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. ქ.ქუთაისი. 2გვ.

87. კინომოყვარულ ნინო რეზოს ასულ პიტნავას წერილი გოგი დოლიძისადმი. - წერს კინოსადმი დიდ სიყვარულზე. მოიხსენიებს მსახიობებს: ლია ელიავასა და ოთარ კობერიძეს. სურვილს გამოთქვამს შეხვდეს გოგი დოლიძეს, რათა ისაუბროს კინემატოგრაფიის შესახებ. 1991წ. 29 მაისი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 2გვ.

88. თემურ ჩალაბაშვილის წერილი გოგი დოლიძისადმი. - წერს დოდო აბაშიძის სადამოზე დასასწრებ მოსაწვევ ბარათებთან დაკავშირებით.

1992წ. 10 მაისი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 1გვ.

89. გივი მეფერაშვილის ხსოვნისადმი წარმოთქმული სიტყვა გოგი დოლიძის მიერ. - ხელს აწერენ: რეზო ჩხეიძე და გოგო დოლიძე. „ქართული ფილმი“. 22 აგვისტო. 1992წ. 10 აგვისტო. 1992წ. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.

90. რეზო ჩხეიძის წერილი გოგი დოლიძისადმი. - (პირადი ხასიათის). 1993წ. 20 ივლისი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 1გვ.

91. მანანა სურვილადის წერილი გოგი დოლიძისადმი. - წერს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გოგი დოლიძის თხოვნით შესრულებულია. 1994წ. 28 ივლისი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 2გვ.

92. ნ.ც-სგან წერილი გოგი დოლიძისადმი. - წერს მისთვის გაგზავნილ საილუსტრაციო მასალის შესახებ, ასევე სთხოვს რათა უშუამდგომლოს დეკანთან სტუდენტ ნინო წერეთლის გადასახადის გადავადებასთან დაკავშირებით. 1994წ. 20 დეკემბერი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 1გვ.

93. ვანო ცინცაძის წერილი გოგი დოლიძისადმი. - ეპატიჟება რუსთავში მის იუმორისტულ საღამოზე დასასწრებად. 1995წ. 24 იანვარი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 1გვ.

94. ბიძინა ყანჩაველის წერილი გოგი დოლიძისადმი. - წერს ფილმთან დაკავშირებით, რომელზე მუშაობაც უკვე დაამთავრა. 2000წ. 14 აგვისტო. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 1გვ.

95. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ მერაბ ვაჩნაძის წერილი გოგი დოლიძისადმი. - სთხოვს გადახედოს „საქართველოს ისტორიის“ მეთერთმეტე კლასის სახელმძღვანელოს და აუცილებლობის შემთხვევაში შეიტანოს სათანადო შესწორებები. ასევე ამცნობს, რომ გამოსაცემად მზადდება სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია XX საუკუნე“, რომელიც განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთათვის. 2002წ. 27 სექტემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.

96. ვახტანგ გურიელის წერილი გოგი დოლიძისადმი. - სთხოვს საქართველოს ისტორიის IX კლასის სახელმძღვანელოში გადახედოს კინოს ისტორიას. უფლებას აძლევს ამოიღოს ან ჩამატოს სასურველი პუნქტები მხოლოდ ტექსტის სიდიდის გათვალისწინებით. 2002წ. 30 ოქტომბერი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 1გვ.

97. გიორგი ჯანელიძის დაბადების დღის მისალოცი წერილი მიუნხენიდან, გოგი დოლიძისადმი. 20 აპრილი 2003წ. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 1გვ.

98. მოლდავეთის დამსახურებული მსახიობის სვეტლანა ტომას წერილი პროფესორ გიორგი დოლიძისადმი, სადაც იხსენებს მსახიობ ნოდარ მარგველაშვილს. ქ.მოსკოვი. 2003წ. 4 ივნისი. ხელნაწერი, მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე.

99. საქ. საფრანგეთის საელჩოს მიერ გაგზავნილი წერილი თბილისის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის რექტორ გ.დოლიძისადმი. - საელჩოს გადაწყვეტილებით 16მმ. ფორმატის

რამოდენიმე ფილმის ჩუქებასთან დაკავშირებით. ხელს აწერს: საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი კულტურის დარგში ფრანსუა ლორანი. ქ.თბილისი. 2004წ. 16 აპრილი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ და ფრანგულ ენებზე. 2ფ.

100. კარლო ინასარიძის წერილი გოგი დოლიძისადმი. - წერს მის მიერ დაწერილ „თეატრის მეტყველების“ შესახებ. მოიხსენიებს თენგიზ ტატუნაშვილს. ლევილი. 2006წ. 21 სექტემბერი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 1გვ.

101. კინოსა და თეატრის რედაქციის გამგის დ.კანდელაკის ოფიციალური წერილი საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კინო-სარეჟისორო ფაკულტეტის დეკან გიორგი (გოგი) დოლიძისადმი. - (წერს, რომ უგზავნის ჟურნალისტ რ.ჯალაღანიას წიგნს „სიცოცხლე გრძელდება“ სარეცენზიოდ. ხელს აწერს : დ.კანდელაკი. წერილი დაწერილია გამომცემლობა „ხელოვნების“ ბლანკიან ფურცელზე). 1981წ. 2 დეკემბერი. მანქანაზე ნაბეჭდი. 1ფ.

102. ზაურ ბოლქვაძის წერილი გოგი დოლიძისადმი. - (პირადი ხასიათის). წ. (?) 28 ივნისი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 1გვ.

103. თავად- რამაზ ყანჩაველის წერილი გოგი დოლიძისადმი. - (სთხოვს დაეხმაროს და რჩევები მისცეს მის ვაჟს ბიძინა ყანჩაველს, სწორი არჩევანის ჩამოყალიბებაში). ქ.ქუთაისი. უთარილო. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 1გვ.

104. ლუდმილა ივანეს ასულ სასინას წერილი (ღია ბარათი) გოგი დოლიძისადმი. - (იგონებს თბილისში გატარებულ გასლ წლებს. ულოცავს ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს) უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1გვ.

105. უცნობის წერილი გიორგი (გოგი) დოლიძისადმი. - (პირადი ხასიათის). მოხსენიებულნი არიან: რობერტ სტურუა, დუდანა, ნესტორ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ავთანდილ ვარსიმაშვილი, ერლომ ახვლედიანი, რეზო გაბრიადე. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2გვ.

### დეკემბერი

106. ქუთაისის ახალგაზრდული კავშირის ორგანიზაციისა და ზაზა დვალიშვილის მისალოცი დეპეშა გიორგი დოლიძისადმი. - პროფესორის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით. უთარილო. მანქანაზე ნაბეჭდი. 1ფ.

### მოსაწვევი ბარათები

107. 1981 წლის 23 იანვარს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სადუბლიაჟო და აღსადგენი ფილმების სექციის მიერ აღდგენილი ფილმის „ორი მონადირის“ პრემიერის მოსაწვევი ბარათი. 1981წ. 23 იანვარი. დასტამბული. ქართულ ენაზე. 1გვ.

108. გოგი დოლიძის შემოქმედებითი საღამოს სარეკლამო ბროშურა. - მინაწერით: „თეატრისა და კინოს მუზეუმს“.

1999წ. 20 აპრილი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 3გ.

109. სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასისა და სამეგრელო-სვანეთის კეთილი ნების კომპის 2006 წლის 21-22 ოქტომბერს ჩატარებული ღონისძიების მოსაწვევი ბუკლეტი - სახელწოდებით „ქართველების ერთად ყოფნა დაგვილოცე ღმერთო!..“  
2006წ. 21-22 ოქტომბერი. დასტამბული. ქართულ ენაზე. 1გ.

### სხვადასხვა

110. საქ. სახკინოს რედაქტორატის მიერ გაკეთებული დასკვნა, კვ. „თავადის ასული მერი-ს“ სადიქტორო და წარწერების ტექსტთან დაკავშირებით. ხელს აწერს მთავარი რედაქტორი: რ.მირიანაშვილი.

1983წ. 23 აგვისტო. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ. (ქსეროასლი)

111. როლანდ ჯალაღანიას სტატია კვ „ნახუმასთან“ დაკავშირებით.  
უთარილო. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 2ფ.

112. კვ. „ორი მონადირის“ ირგვლივ დაწერილი, რუსულ პრესაში გამოქვეყნებული, რეცენზიები. (მასალას ერთვის გამოქვეყნებული სტატიების ფოტო ასლები)  
მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 12გვ.

113. კვ „ორი მონადირის“ ირგვლივ გამოქვეყნებული სტატიები ქართულ პრესაში.  
(დადგმა - ალ.წუწუნავასი). გაზ: „კომუნისტი“. 1927წ. 29 იანვარი. გვ.4. გაზ: „მუშა“. 1927წ. 29 იანვარი. გვ.7.

ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 14ფ.

114. კვ „ორი მონადირის“ სადიქტორო ტექსტი ჩაწერილი გ.დოლიძის მიერ. 1926-1927წწ. – (ი.ელეფთერიძის (ზურაბიშვილის) მოთხრობის მიხედვით. სცენ.ავტ. - ალ.წუწუნავა, ლ.ჯაფარიძე. რეჟ.-ალ.წუწუნავა. მხატვ.- ვ.სიღამონ-ერისთავი)  
ხელნაწერი. ქართულ ენაზე, 27გვ.

115. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის კინოფაკულტეტის, კინომცოდნეობის განყოფილების კურსდამთავრებულის მეგი მამალაძის სადიპლომო ნაშრომი. - ბედი ფილმისა „ქეთო და კოტე“. ხელმძღვანელი - პროფ. გ.დოლიძე. ნაშრომს აქვს გ.დოლიძისა და ვ.ტაბლიაშვილის დადებითი რეზოლუციები. ქ.თბილისი. 12, 23 მაისი, 2002წ. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 45ფ.

116. გოგი დოლიძის სახუმარო ლექსი, მიძღვნილი თ.ჯალაღანიასადმი.  
2004წ. 16.02. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ.

117. გოგი დოლიძის ლექსი მიძღვნილი ოთარისადმი (?) „ჩვენი ოთარის დაბადებიდ დღის აღსანიშნავად“. (გ.დოლიძის ავტოგრაფით)  
2000წ. 11.03. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1გვ

118. სტატია ქართული კინოსკოლის შესახებ. „Грузинская киношкола“. – (ავტორი უცნობია)  
9.11. 1999წ. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 4ფ.

119. თეატრალური ინტიტუტის პრორექტორის პროფ. გ.დოლიძის მიერ გაცემული დახასიათება, კინო-ტელე ფაკულტეტის კინოსარეჟისორო სპეციალობის სტუდენტის ბიძინა ყანჩაველის სახელზე.

2000წ. 16 თებერვალი. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე.

120. საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სხვადასხვა სახის საბუთები: აქტები, ოქმები, განცხადებები. (აკინძული. მასალა დასათაურებულია - „ექსენტი გამსახურდია. საპასუხო განცხადება“). მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 50ფ.

121. სტატია ქართული კინოსკოლის შესახებ. „Грузинская киношкола“. (ავტორი უცნობია) უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 3ფ.

122. საქ. ინფორმის მიერ მოწოდებული სტატია საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის კინოფაკულტეტის ინიციატივის შესახებ, ქართული კინოსკოლის პირველკურსელთათვის სტუდბილეთების „ნატო ვაჩნაძის სახლმუზეუმში“ გადაცემასთან დაკავშირებით. უთარილო. მანქანაზე ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 2ფ.

123. ი.დემეტრაძის სტატია ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმების შესახებ. „О феномене Грузинского короткометражного кино“. უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1გვ.